საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-104

15/02/2022

ქ. თბილისი

ამბროლაურის მუნიციპალიტეტში, შპს ,,საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის" ,,რიცეულას ჰიდროელექტროსადგურის („რიცეულა" ჰესის) ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე" სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის", მე-9 მუხლის, ასევე მე-5 მუხლის მე-12 ნაწილისა და ამავე კოდექსის I დანართის 22- ე პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს, ამბროლაურის მუნიციპალიტეტში, შპს ,,საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის" ,,რიცეულას ჰიდროელექტროსადგურის („რიცეულა" ჰესის) ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე" სკოპინგის დასკვნა N2 (3.02.2022);
2. შპს ,,საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია" ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N2 (3.02.2022) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს ,,საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციას";
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს ,,საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის" მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ამბროლაურის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ოთარ შამუგია

მინისტრი